თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ბუბა და გუგა

ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში ძმები - გუგა და ბუბა...

ძმები ათოსნებიც არიან და ეზოშიც პირველობენ. მეზობლებიც აქებენ: ან როგორ სუფთად აცვიათ, ან რა წესიერად იქცევიანო. და აი, რა მოხდა ამ მშვენიერ ოჯახში ერთხელ. გუგა ავად გახდა და საავადმყოფოში დააწვინეს...

გუგას გამოჯანმრთელების საქმე მაინცადამაინც კარგად არ მიდიოდა. ორივე ფილტვის ანთება ჰქონდა. იწვა საცოდავი ბიჭი, საწოლთან ედგა დანადგარი, საიდანაც რეზინის მილები ჩამოდიოდა. იმ მილებიდან რაღაც წამალს უშვებდნენ მკლავის ძარღვებში. ბუბას მთელი სხეული სტკიოდა იმის დანახვისას. ტიროდა, მამა ძლივს აწყნარებდა.

დედა გახდა, გაფითრდა, თვალები ჩაუწითლდა. სულ კანკალებდა. მამაც ერთ გაწამაწიაში იყო. ექიმები ანუგეშებდნენ, ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ იმათაც რაღაც სევდა და შიში ემჩნეოდათ თვალებში. შეშინებული იყურებოდა ხოლმე საბნიდან გუგაც. თვალები იმასაც უკვე სხვანაირი ჰქონდა, უსიამოვნოდ ლაპლაპა.

ერთ საღამოსაც წაიყვანა საავადმყოფოში მამამ ბუბა. დედა ტიროდა. მამასაც წამოუვიდა ცრემლი. ბუბამ მაშინვე იგრძნო, გუგა არ იყო კარგად. ბუბამაც ტირილი დაიწყო.

ძალიან დადარდიანებულები დაბრუნდნენ შინ. მამა ამხანაგთან წავიდა რაღაც წამლისთვის. ბებიამ გაჭირვებით აჭამა ბუბას ვახშამი. ერთხანს უყურებდა ტელევიზორში რაღაც ზღაპარს. მალე გამორთო ტელევიზორი, იბორიალა ობლად. ბებიამ ლოგინი გაუშალა, დააწვინა, თვითონაც თავთან დაუჯდა. წიგნი გადაშალა. ბუბა წამდაუწუმ ეკითხებოდა ბებიას, ხომ კარგად იქნება გუგაო. კარგადო, შვილო, კარგადო! მაგრამ ბუბას ისევ ძალიან დარდობდა. ბებიამ კითხვა დაიწყო. ბუბა ჩუმად იყო, მაგრამ არ უსმენდა, გუგაზე ფიქრობდა. ბებიას მალე მოეკიდა რული. ბუბა ფრთხილად გადმოვიდა ლოგინიდან. ქუჩიდან შემოსულ შუქში მივიდა კარადასთან. იქ სანთლები ინახებოდა. ორი სანთელი

LIVEWORKSHEETS

აიღო. ლოჯიის მაგიდასთან მივიდა. იქ თიხის დიდი სასანთლე იდო. აანთო სანთელი, გადაიწერა პირჯვარი და დაიწყო ლოცვა:

- ღმერთო, გენაცვალე, უშველე ჩემს ძმას, გუგას. გამოაჯანმრთელე. კარგად მიმყოფე. გუგა ძალიან კარგი ბიჭია, გუგა ოქროს ბიჭია. ის ყველას უყვარს...

ხელები მაგიდაზე დააწყო, ზედ ნიკაპი დაადო და ასე უყურებდა სანთლების პარპალს... რაღაც შუქში შევიდა, რაღაც სითბოში შევიდა. კარგი იყო იქ, ძალიან კარგი. ვიღაცამ კი ყვირილით დასტაცა ხელი და აიტაცა მაღლა. ყვიროდა ბუბა. გარბოდნენ, გამორბოდნენ. მიარბენინებდნენ ვედროებით წყალს. მწარე ბოლი შემოდიოდა მეზობელთანაც, სადაც ბუბა იჯდა და აკანკალებული ბებია უკოცნიდა ფეხებს. შემოვიდა მამა, ისიც აკანკალებული, სველი. იმანაც დაუწყო კოცნა. ბუბა ტიროდა, მამა ეკითხებოდა:

- რას აკეთებდი, რას?!
- გუგასთვის ვლოცულობდი, ღმერთს ვეხვეწებოდი...

ყველანი გაოცებულნი იყვნენ. მადლობდნენ უფალს და პირჯვარს იწერდნენ: რა არის, რა ბედმა დააბრუნა ბადრი სწორედ იმ დროსო! თავიანთთან რომ დაბრუნდნენ, იქაურობა ბოლის, სისველისა და პლასტმასის სუნით იყო სავსე. მაგიდა, რომელზედაც სანთლები დაანთო ბუბამ, ამომწვარი იყო. ბუბა მიხვდა, რა ხიფათსაც გადაურჩა. როდის-როდის დაეძინა ათასნაირი ფიქრებით სავსეს.

სკოლაში წასასვლელად არ გაუღვიძებიათ. დილით ნახეს, რომ ერთ ადგილას ქოჩორი შეტრუსული ჰქონდა ბუბას.

იმავე დღეს უკეთესად გახდა გუგა, მეორე დღეს კიდევ უფრო უკეთესად, მესამე დღეს მთლად კარგად. სულ მალე კი ჯანმრთელი და გახარებული დაუბრუნდა ოჯახს.

ბუბას იმ დღიდან სხვა თვალით უყურებდა დიდი და პატარა, ერთმანეთს უჯიკავებდნენ ქუჩაში: აგერ ის ბიჭი, ძმისთვის რომ ლოცულობდა და კინაღამ დაიწვაო. ცოტა თავს ღუნავდა ქუჩაში ბუბა, მაგრამ მისთვის მთავარი სხვა იყო. მთავარი იყო, გუგა რომ კარგად ჰყავდა, გვერდით ჰყავდა და ერთად იცინოდნენ ძველებურად.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რის გამო იმსახურებდნენ ძმები მეზობლების ქებას?**

ა) ერთმანეთის სიყვარულის გამო.
ბ) კარგი სწავლის გამო.
გ) წესიერი ქცევის გამო.

2. **„იმათაც რაღაც სევდა და შიში ემჩნეოდათ თვალებში“. ვის გულისხმობს ავტორი ამ სიტყვებში?**

ა) ექიმებს. ბ) მშობლებს. გ) ძმებს.

3. **რომელ წინადადებაშია გამოყენებული ეპითეტი?**

ა) „ბებიამ გაჭირვებით აჭამა ბუბას ვახშამი“.
ბ) „ბუბა წამდაუწუმ ეკითხებოდა ბებიას, ხომ კარგად იქნება გუგაო“.
გ) „თვალები იმასაც უკვე სხვანაირი ჰქონდა, უსიამოვნოდ ლაპლაპა.“

4. **ავადმყოფობის გარდა, კიდევ რა აწუხებდა გუგას?**

ა) მშობლების დარდი. ბ) შიშის გრძნობა. გ) ძმის მონატრება.

5. **რის გამო არ იყო ბუბა ჭამის ხასიათზე?**

ა) ავადმყოფ ძმაზე დარდობდა.
ბ) ზღაპრის წაკითხვა უნდოდა.
გ) ტელევიზორის ყურება ერჩია.

6. **„გამორთო ტელევიზორი, იბორიალა <u>ობლად</u>“. რას ნიშნავს აქ ხაზგასმული სიტყვა?**

ა) მარტოდმარტოს. ბ) მოწყენილს. გ) უდედმამოს.

LIVEWORKSHEETS

7. „ბებიას მალე <u>მოეკიდა რული.</u>“ რას ნიშნავს ხაზგასმული ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) დაისვენა. ბ) დაიღალა. გ) ჩათვლიმა.

8. საწოლიდან ამდგარი ბუბა ფრთხილობდა:

ა) ბებოს რომ არ გაღვიძებოდა.
ბ) ეშინოდა, ხანძარი არ გაჩენილიყო.
გ) რადგან ოთახში ბნელოდა.

9. რა იგულისხმება ამ სიტყვებში: „რაღაც შუქში შევიდა, რაღაც სითბოში შევიდა. კარგი იყო იქ, ძალიან კარგი.“

ა) ბუბას ტკბილად ჩაეძინა.
ბ) ოთახში ხანძარი გაჩნდა.
გ) ქუჩიდან შუქი შემოვიდა.

10. რატომ კოცნიდნენ ბებო და მამა ბუბას?

ა) უხაროდათ, გუგა რომ გამოჯანმრთელდა.
ბ) უხაროდათ, უვნებელი რომ გადაურჩა ხანძარს.
გ) უხაროდათ, ძმისთვის რომ ლოცულობდა.

11. მეზობლები უფალს მადლობდნენ, რადგან:

ა) ბედად, მამა დროულად დაბრუნდა სახლში.
ბ) ვიღაცამ ბუბას ყვირილით დასტაცა ხელი და აიტაცა.
გ) ხანძრისას ბუბას მხოლოდ ქოჩორი შეტრუსოდა.

12. ,,როდის-როდის დაეძინა“ ბუბას. რა იყო მისი აფორიაქების მიზეზი?

ა) იქაურობა ბოლის სუნით იყო სავსე.
ბ) მიხვდა, რა ხიფათსაც გადაურჩა.
გ) წუხდა, ქოჩორი რომ შეეტრუსა.

LIVEWORKSHEETS

13. **რატომ უყურებდა ბუბას ყველა ,,სხვა თვალით“ ხანძრის შემდეგ?**

ა) ისინი აფასებდნენ ძმისადმი ბუბას დიდ სიყვარულს.

ბ) ისინი დასცინოდნენ ბუბას გაუფრთხილებლობის გამო.

გ) მათ უხაროდათ, რომ გუგა ძმის ლოცვის შემდეგ გამოკეთდა.

14. **რა იყო ბუბასთვის მნიშვნელოვანი?**

ა) რომ იგი ხიფათს უვნებელი გადაურჩა.

ბ) რომ ყველა მას სხვა თვალით უყურებდა.

გ) რომ ძმები ისევ ერთად და ბედნიერად იყვნენ.

15. **რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი?**

ა) გულწრფელ სიყვარულს სასწაულის მოხდენა შეუძლია.

ბ) ოჯახში ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა უმთავრესია.

გ) შვილების სიყვარულით აღზრდა მშობლის მოვალეობაა.

LIVEWORKSHEETS